

შპს „სიენენ კავკასია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	6
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
6. ამონაგები რეალიზაციიდან	12
7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	13
10. საკურსო მოგება	13
11. გაცემული სესხები	14
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
15. საგადასახადო ვალდებულებები	15
16. ანარიცხები	15
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
18. პირობითი ვალდებულებები	16
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები	16

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	18
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	18
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	19
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	19
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	19
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	19
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სიენენ კავკასია“-ს ხელმძღვანელობას და მეწილეს

მოსაზრება

ჩვენ დაგვიჭირავენ შპს „სიენენ კავკასია“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნულ თარიღზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 17-21 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

როდესაც გავეცნობით მმართველობის ანგარიშგებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩვენ მოვახდენთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან შესაბამის კომუნიკაციას, მმართველობის ანგარიშგების საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონთან შესაბამისობის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 დეკემბერი, 2025

თბილისი, საქართველო.

თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 დეკემბერი, 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „სიენენ კავკასია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	6	29,575	40,550
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(22,572)	(26,157)
საერთო მოგება		7,003	14,393
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(324)	(534)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	9	(1,919)	(1,329)
საოპერაციო მოგება		4,760	12,530
ფინანსური შემოსავალი		163	157
საკუროსო მოგება	10	1,389	986
მოგება დაბეგვრამდე		6,312	13,673
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		6,312	13,673

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 დეკემბერს:

ვუგარ ჰასანოვ
დირექტორი

შპს „სიენენ კავკასია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	6	29,575	40,550
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(22,572)	(26,157)
საერთო მოგება		7,003	14,393
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(324)	(534)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	9	(1,919)	(1,329)
საოპერაციო მოგება		4,760	12,530
ფინანსური შემოსავალი		163	157
საკურსო მოგება	10	1,389	986
მოგება დაბეგვრამდე		6,312	13,673
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		6,312	13,673

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 დეკემბერს:

ვუგარ ჰასანოვ
დირექტორი



შპს „სიენენ კავკასია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები	11	3,706	3,598	3,329
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,706	3,598	3,329
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	2,214	2,086	3,385
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	78,046	70,702	50,735
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	956	64	6,873
სულ მიმდინარე აქტივები		81,216	72,852	60,993
სულ აქტივები		84,922	76,450	64,322
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		82,260	75,948	62,275
სულ კაპიტალი		82,260	75,948	62,275
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	15	-	-	269
ანარიცხი	16	-	-	616
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,662	502	1,162
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,662	502	2,047
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		84,922	76,450	64,322

შპს „სიენენ კავკასია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)	-	62,275	62,275
წლის სრული შემოსავალი	-	13,673	13,673
31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	-	75,948	75,948
წლის სრული შემოსავალი	-	6,312	6,312
31 დეკემბერი 2024	-	82,260	82,260

შპს „სიენენ კავკასია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის სრული შემოსავალი	6,312	13,673
არაფულადი კორექტირებები:		
საპროცენტო შემოსავალი	(163)	(157)
საკურსო მოგება	(1,389)	(986)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	4,760	12,530
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(128)	1,299
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(5,838)	(18,350)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	2,171	(990)
ცვლილებები ანარიცხებში	-	(616)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	-	(269)
საოპერაციო საქმიანობიდან (გასული)/შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	965	(6,396)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	965	(6,396)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	965	(6,396)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	64	6,873
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(73)	(413)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	956	64

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სიენენ კავკასია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2011 წლის თებერვალში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 415081994.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და დამხმარე მასალების რეალიზაცია პოსტ საბჭოთა ქვეყნების მასშტაბით. კომპანია დარეგისტრირებულია და ფუნქციონირებს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, კომპანიის გარკვეული ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), ნაკვეთი №545, (სარეგისტრაციო ზონა - ფოთი, კოდი 04, ფოთის პირველი სექტორი, კოდი 01, კვარტლის №1), ნაკვეთის შიდა ნომერი 1B-8C.

კომპანიის მეწილეები: 2024 წლიდან კომპანიის მეწილე შეიცვალა და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში 100% წილის მფლობელი და მესაკუთრე არის რუფატ მაჯიდოვ, 13AVQCM, C01718210 /აზერბაიჯანი/.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

2024 წელს კომპანიამ დააიტენტიფიცირა წინა პერიოდებში გამოვლენილი უზუსტობები, რომლებიც დაკავშირებული იყო უცხოური ვალუტის ტრანზაქციების არასწორ აღრიცხვასთან, cut-off-ის პრინციპის არასწორ გამოყენებასთან და პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ტრანზაქციების არათანმიმდევრულ ასახვასთან. ამ შეცდომების შედეგები და შესაბამისი კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ.

წინა პერიოდის კორექტირებები:

გაცემული სესხები - 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში 331 ლარით ზრდა გამოწვეულია უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთის არასწორი კურსით გადაფასებით, ხოლო 15 ლარით ზრდა გამოწვეულია საპროცენტო შემოსავლის დარიცხვით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები - 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ცვლილებამ შეადგინა 3,385 ლარი, ხოლო 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში მარაგები შემცირდა 5,678 ლარით, რომელიც გამოწვეულია არასწორ პერიოდში საწყისი აღიარებიდან (cut-off). აღიარების პერიოდის ცვლილების გამო გადაანგარიშებული თვითღირებულება გაიზარდა 180 ლარით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება განპირობებულია 3,385 ლარით მოთხოვნების არასწორ პერიოდში აღიარებით. ასევე, 2,692 ლარით ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ კომპანიას უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები არასწორად ჰქონდა წარმოდგენილი ლარში. 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში 4,421 ლარით ზრდა გამოწვეული იყო მოთხოვნების არასწორ პერიოდში აღიარებით. ასევე, 192 ლარით შემცირება განპირობებული იყო უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში არასწორად წარდგენით. დამატებით, 727 ლარით შემცირება დაკავშირებულია არასწორად დარიცხულ შემოსავალთან.

ფული და ფულის ეკვივალენტები - ასახავს 2023 წლის განმავლობაში დარიცხული საბანკო საკომისიოს 5 ლარის ეფექტს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები - ასახავს უცხოურ ვალუტაში არასწორად ასახული ნაშთების საფუძველზე განხორციელებულ კორექტირებებს: 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 671 ლარის ოდენობით და 2023 წელს 132 ლარით ზრდას.

შპს „სიენენ კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

	1 იანვარი 2023	კორექტირებები	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	3,329	-	3,329
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,329	-	3,329
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	3,385	3,385
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56,812	(6,077)	50,735
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,873	-	6,873
სულ მიმდინარე აქტივები	63,685	(2,692)	60,993
სულ აქტივები	67,014	(2,692)	64,322
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	64,296	(2,021)	62,275
სულ კაპიტალი	64,296	(2,021)	62,275
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	269	-	269
ანარიცხი	616	-	616
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,833	(671)	1,162
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,718	(671)	2,047
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	67,014	(2,692)	64,322

შპს „სიენენ კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2023	კორექტირებები	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები	3,252	346	-	3,598
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,252	346	-	3,598
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური				
მარაგები	4,199	(2,113)	-	2,086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	76,099	(2,575)	(2,822)	70,702
ფული და ფულის				
ეკვივალენტები	69	(5)	-	64
სულ მიმდინარე აქტივები	80,367	(4,693)	(2,822)	72,852
სულ აქტივები	83,619	(4,347)	(2,822)	76,450
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	79,756	(3,808)	-	75,948
სულ კაპიტალი	79,756	(3,808)	-	75,948
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო				
ვალდებულებები	-	-	-	-
ანარიცხი	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა				
ვალდებულებები	3,863	(539)	(2,822)	502
სულ მიმდინარე	3,863	(539)	(2,822)	502
ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები და	83,619	(4,347)	(2,822)	76,450
კაპიტალი				

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

	2023	კორექტირებები	რეკლასიფიკაცია	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი				
რეალიზაციიდან	41,865	(826)	(489)	40,550
რეალიზებული პროდუქციის				
თვითღირებულება	(26,525)	(1,104)	1,472	(26,157)
საერთო მოგება	15,340	(1,930)	983	14,393
საერთო და				
ადმინისტრაციული ხარჯი	(912)	(56)	434	(534)
რეალიზაციისა და				
დისტრიბუციის ხარჯი	(82)	45	(1,292)	(1,329)
საოპერაციო მოგება	14,346	(1,941)	125	12,530
ფინანსური შემოსავალი	142	15	-	157
საკუროსო მოგება	972	139	(125)	986
მოგება დაბეგვრამდე	15,460	(1,787)	-	13,673
მოგების გადასახადი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	15,460	(1,787)	-	13,673

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2023 წლის 1 იანვარი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების

სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

კომპანია ამონაგებს საქონლის რეალიზაციიდან აღიარებს, როდესაც მყიდველს გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.
- **სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

6. ამონაგები რეალიზაციიდან

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ფოტის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მიღებული შემოსავალი	21,336	37,435
ამონაგები ფოტის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ წარმოებული ოპერაციებიდან	8,216	2,997
სხვა	23	118
სულ	29,575	40,550

შპს „სიენენ კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(16,295)	(24,443)
ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,277)	(1,714)
სულ	(22,572)	(26,157)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შრომის ანაზღაურება	(82)	(94)
საკონსულტაციო ხარჯები	(76)	(84)
საკომისიო ხარჯები	(67)	(69)
საბაჟო მომსახურების ხარჯი	(53)	(113)
იჯარის ხარჯები	(23)	-
საგადასახადო ხარჯები	-	(120)
სხვა ხარჯები	(23)	(54)
სულ	(324)	(534)

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი მოიცავს საბაჟო და სატერმინალო მომსახურების ხარჯებს.

10. საკუროსო მოგება

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები	1,506	1,617
სავაჭრო ვალდებულებები	11	(330)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(73)	(413)
გაცემული სესხი	(55)	112
სულ	1,389	986

შპს „სიენენ კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)		1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)	
			ძირი	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი	პროცენტი
არარეზიდენტი ფიზიკური პირი	5.5	ევრო	2,931	775	2,975	623	2,884	445
სულ			2,931	775	2,975	623	2,884	445

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
საქონელი გზაში	1,119	780	3,385
საქონელი	1,095	1,306	-
სულ	2,214	2,086	3,385

კომპანიის ბალანსზე აღრიცხული მარაგები მოიცავს როგორც გზაში არსებულ საქონელს, ასევე საქართველოში არსებულ მარაგებს. იმპორტით შეძენილი საქონელი, მოქმედი ინვოტერმსის პირობების საფუძველზე, აკმაყოფილებს აღიარების შესაბამის კრიტერიუმებს და აღიარებულია როგორც საქონელი გზაში.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	66,432	57,253	37,344
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	11,614	13,449	13,391
სულ	78,046	70,702	50,735

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	828	31	6,380
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	122	27	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6	6	250
შეზღუდული ფული	-	-	243
სულ	956	64	6,873

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას განთავსებული ჰქონდა ფული საბანკო ანგარიშზე შეზღუდული წვდომით ბანკის მიერ გაცემული გარანტიის ვადის განმავლობაში, რაც დასრულდა 2023 წლის მაისში.

15. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს, კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარდება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

16. ანარიცხები

კომპანიამ 2020 წელს არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე გასცა სესხი, (შენიშვნა 11) არარეზიდენტზე სესხის გაცემის მომენტში კანონმდებლობის თანახმად კომპანიამ უნდა გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%, აღნიშნული გადასახადი დაბრუნებადია კრედიტის დაფარვის შემდგომ.

ანარიცხი სრულად უკავშირდებოდა გაცემულ სესხზე მოგების გადასახადს. 2023 წელს კომპანიას დაერიცხა აღნიშნული გადასახადი შემოწმების შედეგად. ანარიცხის შემცირება სრულად უკავშირდება 2023 წელს აღნიშნული ეფექტის აღიარებას კომპანიის მიერ.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	1,828	502	186
მიღებული ავანსები	834	-	976
სულ	2,662	502	1,162

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ სჭირდება ანარიცხის შექმნა მიმდინარე სასამართლო დავასთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „სიენენ კავკასია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

- შპს „სიენენ კავკასია“ რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით: 415081994. კომპანიის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), ნაკვეთი №545, (სარეგისტრაციო ზონა - ფოთი, კოდი 04, ფოთის პირველი სექტორი, კოდი 01, კვარტლის №1), ნაკვეთის შიდა ნომერი 1B-8C. კომპანიის 100%-იან წილს ფლობს რუფატ მაჯიდოვ, 13AVQCM, C01718210 /აზერბაიჯანი/.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და დამხმარე მასალების რეალიზაცია, კომპანია ოპერირებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, თუმცა ოპერაციების ნაწილს ახორციელებს საქართველოს ტერიტორიის გავლის გარეშე.

კომპანიის შემოსავლებმა 2024 წელს შეადგინა - 29,575 ლარი, 2023 წელს - 40,550 ლარი, რაც შემოსავლების ტიპების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:


	2024	2023
ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მიღებული შემოსავალი	21,336	37,435
ამონაგები ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ წარმოებული ოპერაციებიდან	8,216	2,997
სხვა	23	118
სულ	29,575	40,550

შპს „სიენენ კავკასია“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის შემოსავალი 29,575 ლარია, რაც 2023 წლის ანალოგიურ მონაცემზე 27%-ით ნაკლებია.



შპს „სიენენ კავკასია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „სიენენ კავკასია“-ში თანამშრომელთა რაოდენობა 2024 და 2023 წლის განმავლობაში არ შეცვლილა და განისაზღვრება 3 თანამშრომლით. შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება-დასაქმების მიზნით, კომპანიას აქვს შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა.

კომპანიის მენეჯმენტი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობით უდგება არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტებისა და პროცედურების დაცვა.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია არ გეგმავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საოპერაციო საქმიანობაში.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2024	2023	გადახრის ახსნა
ამონაგები რეალიზაციიდან	29,575	40,550	შენიშვნა 1
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(22,572)	(26,157)	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

რეალიზაციიდან ამონაგების კლება 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გამოიწვია ლოჯისტიკურმა პრობლემებმა, რაც გულისხმობს იმას, რომ ვერ ხერხდებოდა შესაბამის ვადებში პროდუქციის შესყიდვა და მიწოდება ბაზრებზე.

შენიშვნა #2:

წლების მიხედვით რეალიზებული საქონლის თვითღირებულება პირდაპირპროპორციულია რეალიზაციიდან ამონაგების ცვლილების.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოდან, თუმცა მისი შემოსავალი გენერირდება სხვა ქვეყნებში ექსპორტის საფუძველზე. ამასთანავე, კომპანია თავისი შემოსავლების გენერირებას ახორციელებს როგორც საქართველოს ეკონომიკური საზღვრების გავლით, ისე მისი გვერდის ავლითაც. თუმცა, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	34.2	30.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,241.5	8 284.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.7%	7.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1 569.3	1 928.5
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანია მყიდველებს გარკვეულ შემთხვევებში სთავაზობს კრედიტით გაყიდვებს რა შემთხვევაშიც წარმოექმნება საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის რეალიზაციის დიდი ნაწილი ხორციელდება რამოდენიმე ძირითად შემსყიდველზე, რომლებთანაც თანამშრომლობს სტაბილურად წლების განმავლობაში, კომპანიისთვის საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვანი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია ევროში, რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები(გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 დეკემბერს:

ვუგარ ჰასანოვ
დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები(გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 დეკემბერს:

ვუგარ ჰასანოვ
დირექტორი

